თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №986314

ნომერი: AR1175437

თარიღი : 06.11.2013

გაცემის თარიღი : 08.11.2013

გაცნობის თარიღი : 08.11.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქ.თბილისი, ა.წერეთლის გამზირი. #141ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლაშა ჩოხელი პ/ნ 01004007267
- თბილისი, ზაჰესი ალ. ხეთაგურის ქუჩა #4

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1175437 განცხადების პასუხად, რომელიც დაკავშირებულია ქ. თბილისში ა. წერეთლის გამზირი #14–ში მდებარე საზ. კვების ობიექტის წინ ღია კაფეს მოწყობის ნებართვასთან გაცნობებთ, რომ სამსახურს გადაწყვეტილების მისაღებად დამატებით ესაჭიროება განახლებული ესკიზური ვარიანტი საპროექტო წინადადებით განსაზღვული ღობის არსებობის გარეშე, რომლის განთავსება ქალაქთმშენებლობითი თვალსაზრისით არ არის მიზანშეწონილი. ასევე ესკიზში უნდა დაფიქსირდეს ის კვების ობიექტი საიდანაც იგეგმება მომსახურების განხორციელება და უნდა მიეთითოს აღნიშნულ ობიექტსა და ღია კაფეს შორის არსებული დისტანცია, რომელიც არ უნდა იყოს 1,8მ–ზე ნაკლები. ამასთან დამატებით უნდა წარმოადგინოთ არსებული საზ. კვების მფლობელების თანხმობა. დამატებით გაცნობებთ, რომ ესკიზზე დადებითი პასუხის შემთხვევაში ღია კაფეს ნებართვა გაიცემა პირობით, რადგან ღია სეზონური კაფეს მოწყობა იგეგმება თვითმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე დამატებით წარმოსადგენია მათი შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა ან იჯარის წესით მიწის აღება. მოთხოვნილი დოკუმენტი უნდა აიტვირთოს ამავე განაცხადზე დამატებითი დოკუმენტის ველში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.